ხელშეკრულება #33
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 06.02.2023წ

ს.ს. "ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი" შემდგომში ,,შემსყიდველი", წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის შოთა გოგიჩაიშვილის სახით და **სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო"** შემდგომში ,,მიმწოდებლი", წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით გიორგობიანის სახით, მოქმედნი საქართველოს კანონმდებლობისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
3. ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.
4. ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით, რომელიც ინახება ხელმომწერ მხარეებთან და გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.
5. ,,მხარე" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს - კონტექსტის შესაბამისად
6. ,,მხარეები" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს ერთად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გავაფორმეთ წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველი ს.ს. "ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი"

მიმწოდებელი სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო"

მუხლი 1. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტია

1.1 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტია: **CPV09211400 - ტრანსმისიური ზეთები, კერძოდ: ავტომობილისთვის HYUNDAI TUCSON (IN 777 TC) 2 ლიტრი 80/W90 Spirax S3 ტრანსმისიის ზეთის შეძენა, ერთ. ღირებულებით - 25.00 (ოცდახუთი ლარი და 00 თეთრი).**

მუხლი 2. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

2.1 მომსახურების გაწევის ვადაა **ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 10 თებერვლის ჩათვლით.**

2.2 მომსახურების გაწევის ადგილია _ ქ. თბილისი.

მუხლი 3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **50.00 (ორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი)** ლარს.

მუხლი 4. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

4.1 ანგარიშსწორება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, ფაქტიურად გაწეული მომსახურებისთვის მომწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადებისა და კანონით გათვალისწინებული შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა.

4.2 დაფინანსების წყაროა **2023 წლის** ეკონომიკური საქმინობიდან მიღებული შემოსავლებით.

4.3 ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი

4.4 ანგარიშსწორების ადგილი - ქ. თბილისი.

4.5 ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 „მომსახურების" უხარისხობის შემთხვევაში „შემსყიდველი" აცნობებს „მიმწოდებელს" მომსახურების უხარისხოდ შესრულების შესახებ, ხოლო „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ნაკლის აღმოფხვრა შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საჭიროებიდან გამომდინარე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)და ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში წარუდგინოს მიმწოდებელს დასაბუთებული პრეტენზია, რის შემდეგ შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება გადაუხადოს შესაბამისი წუნდებული გაწეული მომსახურების ღირებულების გამოკლებით.

6.2 ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო საბუთის წარდგენა ეკისრება მიმწოდებელს.

6.3 ხელშეკრულების შესრულებას (ინსპექტირებას) განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციიდან აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ტექნიკისა და ტექნოლოგიების დარგში გიორგი დარსაველიძე.

მუხლი 7. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისათვის „მიმწოდებელმა" უნდა წარმოადგინოს მიწოდებული „მომსახურებისთვის" აუცილებელი საბუღალტრო დოკუმენტაცია რაც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

7.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით ან უხარისხოდ (წუნდებული) გაწეულ მომსახურებაზე. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი თავისუფლდება ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვალდებულებისაგან.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1. შემსყიდველი ვალდებულია:

8.1.1 დროულად აცნობოს მიმწოდებელს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ;

8.1.2 აცნობოს „მიმწოდებელს" ყველა მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

8.1.3 გადაიხადოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება.

8.2. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.2.1 მიაწოდოს „შემსყიდველს" „მომსახურება", რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და სხვა ყველა მონაცემებით „შემსყიდველის" დაკვეთას.

8.2.2 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხებზე;

8.2.3 მიაწოდოს ინფორმაცია გაწეული მომსახურების შესახებ.

8.2.4 დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებანი.

8.3 მხარეები უფლებამოსილნი არიან:

8.3.1 მოითხოვონ ხელშეკრულების ყველა პუქნტის განუხრელად შესრულება.

8.3.2 არ სცნონ არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.

მუხლი 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2 ხელშეკრულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეწყვეტა მხარეთა მიერ წერილობით შეტყობინების გარეშე და ამ შეტყობინებაზე წერილობითი პასუხის მიღების გარეშე განურჩევლად მისი ობიექტური მიზეზისა, დაუშვებელია და გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას მე-10 მუხლის შესაბამისად.

9.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.4 „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ, სხვა რაიმე დამატებითი ახსნა განმარტებების გარეშე:

9.4.1. თუ „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის" მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს „მომსახურება".

9.4.2. თუ „მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება, რომელიც ცვლის პირობებს და რის გამოც ვერ განხორციელდება „მომსახურების" მიწოდება სრულად ან დადგენილ ვადებში.

9.5. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.6. „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:

9.6.1. თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია „შემსყიდველის" ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე.

9.6.2. თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

9.6.3 კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10. პირგასამტეხლო

10.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

10.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარე

უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

10.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

10.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.5. მომწოდებელი ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ან გამოკლებული იქნას „შემსყიდველის" მიერ ანგარიშწორების პერიოდისათვის ასეთი არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1 წინამდებარე ხელშეკრულებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შიეძლება გამოწვეული იქნას საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით, და სხვა მასთან გათანაბრებული მოვლენებით.

11.2 დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ პრესის ან მხარეებისათვის მისაღები სხვა ფორმით.

11.3 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.4 ფორს-მაჟორული სიტუაციის 10 დღეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

მუხლი 12. ხელშეკრულების დადების საფუძველი

12.1 ხელშეკრულების დადების საფუძველი არის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]"ქვეპუნქტი.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

13.1. ხელშეკრულებია ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2023 წლის 10 მარტის** ჩათვლით.

13.2 ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

მუხლი 14. ხელშეკრულების სხვა პირობები

14.1. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით.

14.3. მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.4. „მიმწოდებელს" არ აქვს უფლება „შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.

14.5. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევებისა.

14.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ერთ ეგზემპლარად და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, რომელთაგან თითოეული მხარის ელექტრონულ ვერსიას აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

,,შემსყიდველი"

სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი"
ს/კ 212 153 756
მისამართი: ქ. თბილისი; ალ.ყაზბეგის #16
ბანკი: სს ,,თი ბი სი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE29 TB71 4413 6020 1000 01
ტელ: 239 57 48; 2 23 85 63

აღმასრულებელი დირექტორი:
შოთა გოგიჩაიშვილი

"მიმწოდებელი"

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო"
ს/კ: 204 478 948
მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N204
ბანკი: სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE15TB1100000110467697
ტელ: 2-51-77-99; 599217172
ელ. ფოსტა: levan@hyundai.ge

დირექტორი:
დავით გიორგობიანი

HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Digitally signed by HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Date: 2023.02.06 14:05:59 +04'00'

INFECTIOUS DISEASES, AIDS & CLINICAL IMMUNOLOGY RESEARCH CENTER JSC
Digitally signed by INFECTIOUS DISEASES, AIDS & CLINICAL IMMUNOLOGY RESEARCH CENTER JSC
Date: 2023.02.06 12:18:05 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 06.02.2023წ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ვადასტურებ, რომ **სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“-სთან განხორციელებულ შესყიდვაში მონაწილეობა** არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ვადასტურებ:

შოთა გოგიჩაიშვილი (აღმასრულებელი დირექტორი)